საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1128

ქ. თბილისი "15" "08" 2007წ.

შპს „ჯეოსთილი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-3 მუხლის, პუნქტი 1, ფ) ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ჯეოსთილი"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – მეტალურგიული საწარმოს საქმიანობაზე;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №24; 14.08.07წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის გიორგი ცხაკაიას მოხსენებითი ბარათი

დავით ტყეშელაშვილი
მინისტრი

ეგზავნება: ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს, გარემოს დაცვის ინსპექციას, ნებართვის მიმღებ სუბიექტს

კანცელარია